

**LAW ENFORCEMENT**

**Cooperation**

**Agreement Between the  
UNITED STATES OF AMERICA  
and GEORGIA**

Signed at Tbilisi June 18, 2001

*with*

Annex



NOTE BY THE DEPARTMENT OF STATE

Pursuant to Public Law 89—497, approved July 8, 1966  
(80 Stat. 271; 1 U.S.C. 113)—

“. . .the Treaties and Other International Acts Series issued under the authority of the Secretary of State shall be competent evidence . . . of the treaties, international agreements other than treaties, and proclamations by the President of such treaties and international agreements other than treaties, as the case may be, therein contained, in all the courts of law and equity and of maritime jurisdiction, and in all the tribunals and public offices of the United States, and of the several States, without any further proof or authentication thereof.”

**GEORGIA**

**Law Enforcement: Cooperation**

*Agreement signed at Tbilisi June 18, 2001,  
with annex;  
Entered into force June 18, 2001.*

AGREEMENT

BETWEEN

THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA

AND

THE GOVERNMENT OF GEORGIA

ON CO-OPERATION IN THE FIELD OF

LAW ENFORCEMENT

The Government of the United States of America (USG) and the Government of Georgia (hereinafter referred to as "the Parties):

Recognizing the importance of technical assistance in the establishment and support of projects designed to strengthen the rule of law by means of training, technology and mutual cooperation, in particular in the areas of anti-corruption, border security, anti-money laundering and the institution of a modern forensic laboratory;

Recognizing the need to assist the Government of Georgia in developing its capability to deter transnational crime and internal corruption that will improve regional stability and enhance the rule of law;

Acting on the basis of their national laws, international commitments and principles of international law,

Taking into account principles and provisions of the "Agreement between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Georgia regarding Cooperation to Facilitate Humanitarian and Technical Economic Assistance", signed in 1992,

Have agreed as follows:

## **PART I. PROJECT DESCRIPTION AND GOALS**

### **ARTICLE 1. TECHNICAL ASSISTANCE PROJECTS**

Pursuant to the provisions of the present Agreement, Parties agree to facilitate the implementation of the:

- Anti-Corruption Project
- Anti-Money Laundering Project
- Forensic Institute Development Project
- Border Control Project.

### **ARTICLE 2. THE ANTI-CORRUPTION PROJECT**

1. Actions to be taken in the Project include provision of US legal advisors and academics to assist Georgia, in both its public and private sector, to effectively combat corruption and foster civic development.

2. The Specific goal of this Project is to improve the ability of the Georgian Government to combat corruption and thereby strengthen public confidence in the effectiveness and integrity of the Government.
3. The planned duration of this specific project is one year, after which assessments will be made to determine if future years are necessary.

### **ARTICLE 3. THE ANTI-MONEY LAUNDERING PROJECT**

1. Actions to be taken in this Project include the provision of advisory assistance aimed at researching the nature of financial crime and money laundering in Georgia in order to assist it in developing institutions capable of monitoring and controlling financial transactions.
2. The Specific goal of this project is to prevent capital flight and to ensure economic stability necessary for a growing democracy.
3. The Planned duration of this specific project is one year, after which assessments will be made to determine if future years are necessary.

### **ARTICLE 4. THE FORENSIC INSTITUTE DEVELOPMENT PROJECT**

1. Actions to be taken in this Project include the provision of technical training and assistance designed to support phase one of a long-term project, which aims to establish on the base of the Expertise and Special Examination Centre of the Ministry of Justice of Georgia a multi-agency forensic laboratory under the auspices of the Ministry of Justice.
2. Phase one includes assistance in developing management structures, procedures, jurisdictional parameters and regulations.
3. The specific goal of this project is to improve the country's system of justice by increasing the use of scientifically valid forensic evidence in the judicial fact finding process in part as a supplement to reliance on confessions and admissions, and thereby to strengthen the rule of law in Georgia.
4. The planned life of this specific module of the project is one year, after which assessments will be made to determine if future years are necessary.

## **ARTICLE 5. THE BORDER SECURITY PROJECT**

1. Actions to be taken in this Project include the provision of specialized training that compliments the on-going US-Georgian Border Security Programs.
2. The specific goal of this project is to safeguard the security of Georgia's borders and to enhance the ability of the Government to collect customs and tax revenue.
3. The Planned duration of this specific project is one year, after which assessments will be made to determine if future years are necessary.

## **ARTICLE 6. PROJECT ACHIEVEMENT VERIFICATION**

1. Progress towards achievement of goals of the Projects foreseen by Articles 2, 3, 4 and 5 of the present Agreement will be measured in terms of demonstrated improvements in the overall law enforcement sector.
2. Methods of verification of project achievements will include the observation by personnel of the Parties and by an increase in the number of arrests and prosecutions of people engaging in public corruption, an increase in the detection of illegal border crossings, enhanced tax and customs revenue collection, drafting of anti-money laundering legislation aimed at preventing capital flight outside the country, and increasing admission of forensic evidence in trials conducted in the courts of Georgia.
3. The providing of United States Government grant funding beyond the current fiscal year is conditioned upon satisfactory progress toward project goals and the availability of funds authorised and appropriated on a year-to-year basis by the U.S. Congress and approved by the United States Department of State Bureau for International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL).

## **PART II. STANDARD PROVISIONS**

### **ARTICLE 7. FINANCING**

1. Distribution of USG funds for procurement of goods and services will be made as charges against sub-obligation documents prepared and issued by the U.S. Embassy or by INL.
2. Funds obligated by the United States that have not been sub-obligated within twelve months following the close of the U.S. government fiscal year in which the

agreement is signed may be de-obligated by the USG. An extension of the sub-obligation period may be granted upon request to the U.S. Department of State, INL.

3. The Government of Georgia, according to the Georgian legislation, will ensure the effective operation of its Courts, Ministries, Departments, Agencies, Commissions and Councils receiving USG assistance, including the multi-agency forensic laboratory under the auspices of the Ministry of Justice of Georgia, by providing adequate funding for normal administrative and related expenses, such as payment of rents and utilities, telephone costs, salaries and benefits – including medical and other insurance protection, and by recruiting and retraining competent personnel.
4. The Government of Georgia, according to the Georgian legislation, will ensure that the multi-agency forensic laboratory under the auspices of the Ministry of Justice of Georgia, established through the implementation of the project, and its equipment is available for the use of privately retained persons who because of their education, background and experience have the same or substantially similar professional competence as analysts employed by Government agencies and have the respective permission to work as experts under the Georgian legislation. The Government of Georgia will also ensure the drafting of respective legislation that will provide the basis for the admission into evidence in the courts of Georgia of such persons' forensic findings and opinions in the same manner and to the same degree that the forensic findings and opinions of similarly qualified government employed analysts are so admitted into evidence.
5. The Government of Georgia shall make such reasonable efforts as are necessary to ensure that funds or other support provided under the present Agreement are not employed in any way in support of drug trafficking.

#### **ARTICLE 8. TITLE**

Title to all property shall be to the Government of Georgia, unless otherwise specified in the present Agreement.

#### **ARTICLE 9. PROPERTY**

1. Property furnished to the Government of Georgia through financing by the USG shall be devoted to the projects for which it was given and thereafter shall be used to further the projects' objectives.
2. The Government of Georgia agrees to return to the USG, or reimburse the USG for, any property that it obtains through USG financing, which is not used in accordance with this provision.



3. Funds derived from the sale of any property furnished by the USG to the projects shall be used in the furtherance of the objectives of the projects.
4. All equipment, supplies and material will be accounted to the U.S. Embassy by the end-user in no less rigorous a manner than would be used if the equipment, supplies and material were acquired by the Government of Georgia with the funding of the Georgian Government. This provision does not exclude the obligation of the end-users to give an account to the competent authorities of the Georgian government according to the national legislation of Georgia.

#### **ARTICLE 10. PERSONNEL**

1. Before scholarships, fellowships or participant training for personnel proposed by the Government of Georgia can be funded under the present Agreement, personnel proposed for the training must execute a certification, as set forth in the Annex to this Agreement that they have not been convicted of a narcotics offence or been involved in narcotics trafficking within the last ten years.
2. The Government of Georgia agrees to undertake all legal measures under the Georgian legislation to retain personnel who have received training financed under this Agreement for a minimum of two years after completing such training. This requirement may be waived by written agreement of appropriate representatives of the Parties.

#### **ARTICLE 11. MONITORING AND EVALUATION**

1. Both Parties shall have the right:
  - a. to examine any property procured through or financed by that party under the project to determine that such property is being used in accordance with the terms of the projects; and
  - b. to inspect and audit any records and accounts with respect to funds, property and contract services furnished by that party under this agreement to determine that such funds, services or property are being utilized in accordance with the terms of this Agreement.
2. The Parties agree to monitor the progress of these projects jointly and to monitor the use of the projects' equipment and material at least annually during the life of the projects. Each party will assign qualified personnel to participate in the monitoring and evaluation process.

3. Each Party will furnish the other with information necessary to evaluate the effectiveness of the projects' operations under the terms of the present Agreement. At the termination of the projects a completion report shall be issued as an integral part of this process. The completion report will include a summary of United States Government and Government of Georgia project contributions, a record of activities performed, objectives achieved and related basic data.

#### **ARTICLE 12. APPLICABLE LAWS**

1. Both Parties shall expend funds and support project operations in accordance with their respective government's applicable laws and regulations.
2. All goods and services procured with USG funds will be procured in and shipped from the United States unless otherwise provided for in this agreement or as otherwise authorized by the USG.

#### **ARTICLE 13. CURRENCY EXCHANGE**

The Government of Georgia shall pursuant to the Georgian legislation make such arrangements as may be necessary to ensure that funds introduced into Georgia by the USG for the purpose of carrying out obligations of the USG under this agreement shall be convertible into the currency of Georgia at the highest rate which at the time of conversion is not unlawful.

#### **ARTICLE 14. TAXES**

Pursuant to the 1992 "Agreement between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Georgia regarding Cooperation to Facilitate Humanitarian and Technical Economic Assistance", tax exemptions for the latter shall apply to:

- a. any funds, material and equipment introduced into Georgia by the USG pursuant to the present Agreement;
- b. any foreign contractor, including any consulting firm, and any foreign personnel of such contractor financed with the funds for the Projects provided for in the present Agreement.

## ARTICLE 15. STATUS OF USG PERSONNEL IN GEORGIA

1. The Government of Georgia agrees to receive persons designated by the USG to discharge responsibilities of the USG under this Agreement according to the Georgian legislation and international law principles.
2. "Agreement between the Government of the United States of America and the Government of the Republic of Georgia regarding Cooperation to Facilitate Humanitarian and Technical Economic Assistance":
  - a. upon appropriate notification from the USG, the Government of Georgia will grant such persons the privileges and immunities accrued to the Administrative and Technical staff of the USG and assigned to the U.S. Embassy except as otherwise provided in this agreement.
  - b. all personnel of the USG assigned to duties in Georgia in connection with cooperative/technical assistance programs and projects under the present Agreement and accompanying members of their families shall be exempt from all Georgian income taxes and social security taxes with respect to income earned while in Georgia, and from property taxes on personal property intended for their own personal use. Such personnel and accompanying members of their families shall receive the same treatment with respect to the payment of customs and import duties on personal effects, equipment and supplies imported into Georgia for their own use, as is accorded by the Government of Georgia to diplomatic agents of the U.S. Embassy in Georgia.

## ARTICLE 16. HUMAN RIGHTS

The Parties recognize and agree that the protection of human rights is an important element of the present Agreement. To this end, the parties understand and agree that:

- a. USG assistance to the Government of Georgia's crime control efforts is conditioned on the Government of Georgia actively protecting human rights in Georgia, and
- b. In accordance with the United States law and policy, no USG assistance or funds will be provided under this Agreement to or for use by a unit of the security forces of the Government of Georgia if the U.S. Secretary of State has credible evidence that such a unit has committed gross violations of human rights, unless the U.S. Secretary of State determines that the Government of Georgia is taking effective measures to bring the responsible members of the

security forces unit to justice. The Parties understand that "effective measures" means that the Government of Georgia is carrying out a credible investigation and that the individuals involved face appropriate disciplinary action or impartial prosecution in accordance with the national law.

### **PART III. ADDITIONAL PROVISIONS**

#### **ARTICLE 17. CONTRACTING THE TECHNICAL ASSISTANCE**

The technical assistance projects provided for in the present Agreement will be contracted through United States government agencies.

#### **ARTICLE 18. FUTURE FUNDING OF THE PROJECTS**

Future funding of the projects provided for in the present Agreement is contingent upon the congressional authorization and appropriation of funds and approval by the Assistant Secretary of State for International Narcotics and Law Enforcement Affairs.

#### **TICLE 19. MODIFICATIONS**

1. Conditions of the projects provided for in this Agreement can be changed only through the modifications to the present Agreement.
2. Modifications to this Agreement must be made as jointly made by the signatories and issued as an additional Protocol to the present Agreement.

### **PART IV. FINAL PROVISIONS**


#### **ARTICLE 20. ENACTMENT AND TERMINATION**

1. This Agreement shall enter into force when signed by authorized representatives of the Parties.
2. Either Party may terminate this Agreement by giving the other Party a 90-day prior written notice of intent.
3. Termination of this Agreement shall cancel any obligations of the Parties to make contributions pursuant to this Agreement, except for payments to commitments entered into with third parties prior to the notice of cancellation of the agreement.

4. The USG reserves the right to terminate any and all assistance provided under this Agreement upon notice or take appropriate other measures if an agency of the Government of Georgia, to or through which assistance is being provided under this Agreement or a key individual of such agency or any recipient of scholarships, fellowships or training financed under this Agreement is found to have been convicted of a narcotics offence or to be or have been engaged in drug trafficking as defined in 22 Code of Federal Regulations, Part. 140.
5. Obligations under Article 9 of this Agreement relating to use of property shall remain in force after termination of this Agreement.


Done in Tbilisi, this eighteenth day of June of 2001, in duplicate, in the English and Georgian languages, both texts being equally authentic.

For the Government of the  
United States of America



.....  
Kenneth Yalowitz  
Ambassador

For the Government of Georgia



.....  
Gorgi Arsenishvili  
State Minister

PARTICIPANT CERTIFICATION  
NARCOTICS OFFENSES AND DRUG TRAFFICKING

1. I hereby certify that within the last ten years,

a. I have not been convicted of a violation of, or a conspiracy to violate, any law or regulation of the United States or any other country concerning narcotics or psychotropic drugs or other controlled substances.

b. I am not and have not been an illicit trafficker in any such drug or controlled substance.

c. I am not and have not been a knowing assistor, abettor, conspirator, or colluder with others in the illicit trafficking in any such drug or substance.

2. I understand that United States Department of State (DOS) may terminate any training if it is determined that I engaged in the above conduct during the last ten years or during my DOS-financed training.

Signature: \_\_\_\_\_

Name: \_\_\_\_\_

Date: \_\_\_\_\_

NOTICE

1. You are required to sign this Certification under the provisions of 22 CFR Part 140, Prohibition on Assistance to Drug Traffickers. These regulations were issued by the Department of State and require that certain participants must sign this Certification.

2. If you make a false Certification you are subject to U.S. criminal prosecution under 18 U.S.C. 1001.

ANNEX

შეთანხმება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა

და

საქართველოს მთავრობას

შორის

კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის

შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მხარეები“)

აღიარებენ რა საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცებისათვის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, საზღვრების უსაფრთხოების დაცვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის და თანამედროვე სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის შექმნის და ფუნქციონირების მხარდაჭერის სფეროში ტექნიკური დახმარების პროექტების – კადრების მომზადების, ტექნოლოგიური მხარდაჭერის და ურთიერთთანამშრომლობის, – მნიშვნელობას;

აღიარებენ რა ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და საქართველოში კორუფციის აღმოფხვრის საქმეში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის და კანონის უზენაესობის განმტკიცებას,

ხელმძღვანელობენ რა მხარეთა მოქმედი კანონმდებლობებით, საერთაშორისო ვალდებულებებით და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით,

ითვალისწინებენ რა “ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის პუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1992 წლის ხელშეკრულების დებულებებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### თავი I. პროექტების აღწერა და მიზნები

##### მუხლი 1. შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად, მხარეები ხელს შეუწყობენ შემდეგი პროექტების განხორციელებას:

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი პროექტი;
- ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი პროექტი;
- სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის განვითარების პროექტი;
- სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების მხარდამჭერი პროექტი.



მუხლი 2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი პროექტი

1. პროექტი ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ იურიდიული მრჩეველების და სპეციალისტების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო და კერძო სექტორებისთვის დახმარების გასაწევად, კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიზნით.

2. პროექტის განსაკუთრებული ამოცანაა გააუმჯობესოს საქართველოს მთავრობის უნარი ებრძოლოს კორუფციას, რაც ხელს შეუწყობს მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდას.

3. პროექტის დაგეგმილი ხანგძლიობა შეადგენს ერთ წელიწადს. ამის შემდეგ ჩატარდება შეფასება, რომლის შედეგად დადგინდება პროექტზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა და ვადები.

მუხლი 3. ფულის ბათივითრების  
წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი პროექტი

1. პროექტი ითვალისწინებს საკონსულტაციო დახმარების გაწევას საქართველოში არსებული ფინანსური სამართალდარღვევების და ფულის გათეთრების დანაშაულის ბუნების შესწავლისათვის, რაც მიზნად ისახავს ისეთი დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობას, რომლებიც შეძლებენ ფინანსური ოპერაციების მონიტორინგის და კონტროლის განხორციელებას.

2. პროექტის განსაკუთრებული ამოცანაა თავიდან იქნას აცილებული საქართველოს ფარგლებს გარეთ კაპიტალის გადინება და ხელი შეუწყოს ეკონომიკური სტაბილურობის დამკვიდრებას, რაც დემოკრატიის განვითარების პირობას წარმოადგენს.

3. პროექტის დაგეგმილი ხანგძლიობა შეადგენს ერთ წელიწადს. ამის შემდეგ ჩატარდება შეფასება, რომლის შედეგად დადგინდება პროექტზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა და ვადები.

მუხლი 4. სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის  
ბანკითარების პროექტი

1. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები მოიცავს იმ გრძელვადიანი პროექტის პირველი ფაზის მხარდაჭერისათვის აუცილებელი ტექნიკური მომზადებისა და დახმარების საკითხებს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ბაზაზე იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის შექმნას.

2. პროექტის პირველი ფაზა ითვალისწინებს დახმარებას მართვის სტრუქტურების, პროცედურების, უწყებრივი კომპეტენციების პარამეტრების და მარეგულირებელი აქტების შემუშავების საკითხებში.

3. პროექტის განსაკუთრებული ამოცანაა საქართველოში კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესება სასამართლო გამოძიების პროცესში მეცნიერულად სანდო ლაბორატორიული მტკიცებულებების გამოყენების მოცულობის გაზრდის გზით.

4. პროექტის ამ კონკრეტული მოდულის დაგეგმილი ხანგძლიობა შეადგენს ერთ წელიწადს. ამის შემდეგ ჩატარდება შეფასება, რომლის შედეგად დადგინდება პროექტზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა და ვადები.

მუხლი 5. სასაზღვრო უსაფრთხოების  
ბაძლიერების მხარდაჭერი პროექტი

1. პროექტი ითვალისწინებს სპეციალურ მომზადებას, რომელიც შეავესებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის საზღვრის უსაფრთხოების მიმდინარე პროგრამებს.

2. პროექტის განსაკუთრებული ამოცანაა დაიცვას საქართველოს საზღვრების უსაფრთხოება და გაზარდოს საქართველოს მთავრობის შესაძლებლობა საბაჟო და საგადასახადო შემოსავლების მიღების თვალსაზრისით.

3. პროექტის დაგეგმილი ხანგძლიობა შეადგენს ერთ წელიწადს. ამის შემდეგ ჩატარდება შეფასება, რომლის შედეგად დადგინდება პროექტზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობა და ვადები.

### მუხლი 6. პროექტების შედეგიანობის შეფასება

1. წინამდებარე შეთანხმების მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული პროექტების შედეგიანობა შეფასდება სამართალდამცავ სფეროში მიღწეული გაუმჯობესების გათვალისწინებით.

2. პროექტების შედეგიანობის დადგენის მეთოდი ეფუძნება მხარეთა წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ შეფასებებს, კორუფციაში ჩაბმულ სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულში მხილების და მათი სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობრივ ზრდას, საზღვრის დარღვევის ფაქტების დადგენის ზრდას, საბაჟო და საგადასახადო შემოსავლების მოცულობის ზრდას, ფულის გათვრების საწინააღმდეგო ისეთი კანონპროექტების შემუშავებას, რომელთა მიზანი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ კაპიტალის გადინების აღკვეთა, და ასევე, საქართველოს სასამართლოებში წარმოებულ პროცესებში სასამართლო ნიუმტიციცებულებების გამოყენების რაოდენობრივ ზრდას.

3. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მიმდინარე ფისკალური წლის ფარგლებს მიღმა გრანტის სახით ფინანსური დახმარების გამოყოფის პირობას წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების დამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა და დამოკიდებულია ფინანსური სახსრების არსებობაზე, რომელსაც ყოველწლიურად გამოყოფს და ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი და ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდაცვის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობათა ბიურო.

### თავი II. სტანდარტული დებულებები

#### მუხლი 7. დაწინაინება

1. პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვებისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ფონდები გამოიყოფა სავალდებულო ქვე-საკონტრაქტო დოკუმენტების საფუძველზე, რომლებსაც ამზადებს და აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ან ნარკოტიკებისა და სამართალდაცვის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობების ბიურო.

2. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილ ფონდებზე, რომლებიც არ იქნა გამოყენებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის

იმ საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან თორმეტი თვის განმავლობაში, როდესაცხელი მოეწერა ხელშეკრულებას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან გაცემის ვალდებულება გაუქმდება. ვალდებულების განხორციელების ქვეპერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებისა და სამართალდაცვის საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობების ბიუროში წარდგენილი თხოვნის საფუძველზე.

3. საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარების მიმღები სასამართლოების, სამინისტროების, დეპარტამენტების, სააგენტოების, კომისიების, საბჭოების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის ეფექტიან ფუნქციონირებას კომპეტენტური პერსონალის დასაქმების და ამ უწყებების ნორმალური საქმიანობისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული და სხვა დანახარჯების დაფინანსების მეშვეობით. აღნიშნული დანახარჯები მოიცავს შენობის ქირას და კომუნალურ გადასახადებს, სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯებს, ხელფასებს და დახმარებებს, სამედიცინო და სხვა სახის დაზღვევის ჩათვლით.

4. საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტის განხორციელების შედეგად შექმნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის და მისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობას იმ კერძო პირებისთვის, რომლებსაც ექნებათ იგივე ან თითქმის იგივე განათლება და პროფესიული კვალიფიკაცია, რაც სამთავრობო უწყებებში მომუშავე ექსპერტებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული ექსპერტად მუშაობის ნებართვა. საქართველოს მთავრობა ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებას იმისთვის, რომ ამ კერძო პირების კვლევის შედეგები და დასკვნები სასამართლო მტკიცებულებების სახით მიღებულ იქნას საქართველოს სასამართლოებში იგივე წესითა და იგივე ხარისხით, როგორც მიიღება სამთავრობო უწყებებში მომუშავე ანალოგიური კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების კვლევის შედეგები და დასკვნები.

5. საქართველოს მთავრობა მიმართავს გონივრულ ძალისხმევას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ შეთანხმების საფუძველზე გამოყოფილი თანხები და დახმარება არანაირი სახით არ იქნას გამოყენებული ნარკოტიკების მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით.

### მუხლი 8. ქონებრივი უფლება

საქართველოს მთავრობას აქვს ყველა უფლება ქონებაზე, გარდა წინამდებარე შენახებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 9. ქონება

1. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გამოყოფილი დაფინანსების შედეგად შექმნილი და საქართველოს მთავრობისათვის გადაცემული ქონება უნდა გაიხარჯოს იმ პროექტებზე, რომლებისთვისაც ეს ფონდები გამოიყო და შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას პროექტების მიზნებისთვის.

2. საქართველოს მთავრობა თანახმაა დაუბრუნოს ან აუნაზღაუროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ის დანახარჯები, რომლებიც არამიზნობრივად იქნება გამოყენებული და არ იქნება დახარჯული წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

3. ფონდები, რომლებიც წარმოიშობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამ პროექტებისათვის გამოყოფილი დაფინანსებით შექმნილი ქონების გაყიდვის შედეგად გამოყენებულ უნდა იქნას პროექტების მიზნების შემდგომი განხორციელებისთვის.

4. საბოლოო მიმღები ჩააბარებს ანგარიშს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების ფარგლებში მიღებული ყველანაირი აღჭურვილობის, რესურსების და საქონლის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში არანაკლებ მკაცრად რეგლამენტირებული წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ანალოგიური აღჭურვილობის, რესურსების და საქონლის საქართველოს მთავრობის სახსრებით შესყიდვის შემთხვევაში. აღნიშნული დებულება არ გამორიცხავს საბოლოო მიმღების საქართველოს მთავრობის უფლებამოსილი ორგანოსადმი ანგარიშვალდებულებას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 10. პერსონალი

1. წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული პერსონალის სწავლების დაფინანსების განხორციელებამდე, წინამდებარე შეთანხმების დანართით დადგენილი წესით

უნდა დამოწმდეს, რომ შემოთავაზებულ პირებს ბოლო ათი წლის განმავლობაში არ ჰქონიათ ნასამართლობა ნარკოტიკული დანაშაულისათვის და არ მიუღიათ მონაწილეობა ნარკოტიკების უკანონო მოძრაობაში.

2. საქართველოს მთავრობა მიიღებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას იმ პერსონალის სამუშაო ადგილზე შესანარჩუნებლად, რომელმაც გაიარა ამ შეთანხმების ფარგლებში დაფინანსებული ტრენინგი, მისი დასრულების შემდგომ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში. ამ მოთხოვნაზე შეიძლება უარი ითქვას საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების შესაბამისი წარმომადგენლების წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

#### მუხლი 11. მონიტორინგი და შეფასება

##### 1. ორივე მხარე უფლებამოსილია:

- ა. შეამოწმოს ყველანაირი ქონება, რომელიც პროექტის ფარგლებში შექმნილია ან დაფინანსებულია ამ მხარის მიერ, იმის დასადგენად, რომ ეს ქონება პროექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამოიყენება;
- ბ. ჩაატაროს ყველა იმ ჩანაწერის და ანგარიშის შემოწმება და აუდიტი, რომელიც შეეხება ამ მხარის მიერ შექმნილ ქონებას, მის ფონდებს თუ საკონტრაქტო მომსახურებას იმის დასადგენად, რომ ფონდები, ქონება და მომსახურება გამოყენებულია ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ ერთობლივად აწარმოებენ მონიტორინგს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებაზე, მათთვის განკუთვნილ აღჭურვილობასა და საქონელზე, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ პროექტების მიმდინარეობის პერიოდში. თითოეული მხარე გამოყოფს კვალიფიციურ პერსონალს მონიტორინგის და შეფასების ჩასატარებლად.

3. თითოეული მხარე მიაწვდის მეორე მხარეს ყველანაირ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებლად. პროექტების დასრულების შემდეგ მომზადდება საბოლოო ანგარიში, რაც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საბოლოო ანგარიშში, ძირითად მონაცემებთან ერთად, შევა შემაჯამებელი ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატებისა და

საქართველოს მთავრობების მიერ პროექტში შეტანილი წვლილის, შესრულებული საქმიანობის და მიღწეული მიზნების შესახებ.

#### მუხლი 12. ხელშეკრულების მიმართ მოქმედი კანონმდებლობა

1. ორივე მხარე წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში განკარგავს სახსრებს და ხელს შეუწყობს პროექტების განხორციელებას თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახსრებით შეძენილი ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შემდგომი ტრანსპორტირებით, გარდა ამ შეთანხმებით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა ან თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს სხვა გადაწყვეტილებას.

#### მუხლი 13. ვალუტის კონვერტაცია

საქართველოს მთავრობა მიიღებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველანაირ ზომას, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად გამოყოფილი და საქართველოში შემოსული ფულადი სახსრები კონვერტირებულ იქნას საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების მომენტიდან კანონიერად დადგენილი ყველაზე მაღალი კურსით.

#### მუხლი 14. გადასახადები

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1992 წლის ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები ვრცელდება:

- ა. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოში შემოტანილ ნებისმიერ სახსრებზე, საქონელსა და აღჭურვილობაზე;

ბ. ნებისმიერ უცხოელ კონტრაქტორზე – საკონსულტაციო ფირმების და ამ კონტრაქტორის უცხოელი თანამშრომლების ჩათვლით, – რომელთა დაფინანსება ხდება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების სახსრებით.

მუხლი 15. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პერსონალის სტატუსი საქართველოში

1. საქართველოს მთავრობა თანახმაა, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებისთვის დანიშნული პირები.

2. “ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის კუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 1992 წლის ხელშეკრულების თანახმად:

ა. საქართველოს მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, მიანიჭებს ამ პირებს ისეთ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს გააჩნია და დაწესებულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე შეთანხმება სხვა პირობებს ითვალისწინებს.

ბ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში საქართველოში სამუშაოდ წარგზავნილი, პროგრამებსა და პროექტებში მონაწილე ყველა პირი და მათი ოჯახის წევრები გათავისუფლდებიან საქართველოში დაწესებული ყველანაირი საშემოსავლო და სოციალური გადასახადისგან მათი საქართველოში ყოფნის პერიოდში; აღნიშნული პირები გათავისუფლდებიან აგრეთვე მათი პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილ პირად ქონებაზე არსებული ქონების გადასახადისაგან. ეს პირები და მათთან ერთად ჩამოსული ოჯახის წევრები გადაიხდიან იგივე საბაჟო და იმპორტის გადასახადებს მათ მიერ საქართველოში შემოტანილ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილ პირად ქონებასა და აღჭურვილობაზე, რაც დაწესებულია საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დიპლომატიური მუშაკებისათვის.



მუხლი 16. ადამიანის უფლებათა დაცვა

მხარეები აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ამ ორმხრივი შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ:

- ა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოს მთავრობას დაეხმარება დანაშაულთან ბრძოლის სფეროში იმ პირობით, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად დაიცავს ადამიანის უფლებებს;
- ბ. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისად, ამ შეთანხმებით მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახსრები არ მიეცემა და დახმარება არ გაეწევა საქართველოს მთავრობის სამართალდამცავ ორგანოებს, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ექნება უტყუარი მტკიცებულებები, რომ ამ უწყების მიერ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დაადგენს, რომ საქართველოს მთავრობა ეფექტიან ზომებს მიმართავს, რათა მართლმსაჯულებას გადასცეს ამ უწყების პასუხისმგებელი პირები. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ “ეფექტიანი ზომები” ნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ ობიექტური გამოძიების წარმოებას და დამნაშავეთა მიმართ სათანადო დისციპლინარული ზომების გამოყენებას ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიუკერძოებელი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას.

თავი III. დამატებითი პირობები

მუხლი 17. ტექნიკური დახმარების განხორციელება

ტექნიკური დახმარების განხორციელებაზე კონტრაქტები დაიდება ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტოების მეშვეობით.

მუხლი 18. პროექტების შემდგომი დაფინანსება

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების შემდგომი დაფინანსება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მათი დამტკიცების, ფონდების გამოყოფისა და საერთაშორისო ნარკოტიკებისა და სამართალდამცავ საქმეთა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მიერ მათი მოწონების შემდეგ.

მუხლი 19. შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამ შეთანხმებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის გზით.

2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე შეთანხმებაში შესაძლებელია შევიდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და გაფორმდეს ამ შეთანხმების დამატებითი ოქმის სახით.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. შეთანხმების მოქმედება

1. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

2. თოთოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება, თუ იგი 90 დღით ადრე მიაწვდის მეორე მხარეს წერილობით შეტყობინებას ასეთი გადაწყვეტილების თაობაზე.

3. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა გააუქმებს შეთანხმებით გათვალისწინებულ მხარეთა ყველანაირ ვალდებულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს საქმიანი კონტრაქტები ჰქონდათ დადებული მესამე პირთან ამ შეთანხმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებამდე და მესამე პირს უნდა აუნაზღაურდეს იმ სამუშაოს ღირებულება, რომელიც მას ჩატარებული ჰქონდა ამ შეტყობინების მიღებამდე.

4. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იტოვებს უფლებას შეტყობინების შემდეგ შეწყვიტოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული

რომელიმე ან ყველა სახის დახმარება ან მიიღოს შესაბამისი ზომები თუ აღმოჩნდება, რომ საქართველოს მთავრობის რომელიმე უწყება, რომლისთვისაც განკუთვნილია დახმარება ან რომლის მეშვეობითაც იგი ხორციელდება, ჩართული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულში ან ამ უწყების მთავარი მოხელე ან წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში დაფინანსებული რომელიმე სტიპენდიანტი ან ტრენინგის მონაწილე ჩართული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულში ან ნასამართლები იყო ნარკოტიკული დანაშაულისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების კოდექსის 22-ე თავის 140-ე მუხლით.

5. წინამდებარე შეთანხმების მე-9 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც შეეხება ქონების განკარგვას, ძალაში რჩება ამ შეთანხმების შეწყვეტის შემდეგ.


შესრულებულია ქ. თბილისში, 2001 წლის 18 ივნისს, ორ პირად, ინგლისურ და ქართულ ენებზე. ორივე ტექსტს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

ამერიკის შეერთებული შტატების  
მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის სახელით



კენეთ იალოვიცი  
საგანგებო და სრულუფლებიანი  
ელჩი საქართველოში



გიორგი კაპანიშვილი  
სახელმწიფო მინისტრი

მონაწილის მოწმობა  
ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული და ნარკოტიკებით ვაჭრობა

1. ამით ვადასტურებ, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში:

ა. არ მქონია მისჯილი სასჯელი ნარკოტიკებთან, ფსიქოტროპულ საშუალებებთან ან კანონით აკრძალულ სხვა ნივთიერებებთან დაკავშირებული აშშ-ის ან სხვა ქვეყნის რაიმე კანონის ან წესების დარღვევისათვის ან დარღვევის მცდელობისათვის.

ბ. მე არ ვარ და არ ვყოფილვარ ნარკოტიკების ან კანონით აკრძალული ნივთიერებების უკანონო გამავრცელებელი.

გ. მე არ ვარ და არ ვყოფილვარ ნარკოტიკების ან კანონით კონტროლირებადი ნივთიერებების არალეგალური გამავრცელებლების ხელშემწყობი, თანამონაწილე ან მათთან შეთანხმებაში მყოფი პირი.

2. მე ვაცნობიერებ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიძლება შეწყვიტოს ნებისმიერი ტრეინინგი თუ დამტკიცდება, რომ მე ვიყავი ჩართული ზემოაღნიშნულ საქმიანობაში ბოლო ათი წლის განმავლობაში ან ჩემს მიერ ტრეინინგის გავლის პერიოდში.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

თარიღი: \_\_\_\_\_

შენიშვნა

1. თქვენთვის სავალდებულოა ამ მოწმობის შევსება თანახმად ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების კოდექსის 22-ე ნაწილის 140-ე მუხლისა, რომელიც ეხება ნარკოტიკების მოძრაობასთან დაკავშირებული პირებისათვის დახმარების გაწევის აკრძალვას. ეს წესი დადგენილია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მოითხოვს, რომ კონკრეტულმა მონაწილეებმა ხელი მოაწერონ ამ მოწმობას.

2. თუ თქვენ მცარ განცხადებას გააკეთებთ, თქვენს წინააღმდეგ განხორციელდება სისხლისსამართლის დევნა ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის მე-18 თავის 1001 მუხლის შესაბამისად.